

გვარ *Lactuca* (Asteraceae)–ს საქართველოში გავრცელებული სახეობების
მორფოლოგიური კვლევა ტაქსონომიური საკითხების დასაზუსტებლად

თამთა წიკლაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე ეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის*

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია)

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ., მარინე მოსულიშვილი

თანახელმძღვანელი: ასისტ. მკვლევარი ზეზვა ასანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2013

აბსტრაქტი

გვარ *Lactuca* L.-ში გაერთიანებული 100-ზე მეტი სახეობიდან, კულტურული სალათის *L. sativa* L.-ს - გენეტიკურ ჯგუფ-1 (Genepool 1)-ს ანუ მის უშუალო წინაპარს წარმოადგენს 7 სახეობა, რომელთაგან ერთართი უმნიშვნელოვანესი არის ევრაზიაში ფართოდ გავრცელებული სახეობა - *L. serriola* L.; ამავე ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოს ფლორის წარმომადგენელი - *L. georgica* Grossh., რომელიც *L. serriola*-სგან განსხვავებით, ნაკლებად შესწავლილი სახეობაა, რადგან მისი გერმპლაზმი (თესლი), ბოლო პერიოდამდე (2009) არ მოიპოვებოდა (არ ინახებოდა) მსოფლიოს არც ერთ გენბანკში. ნაშრომში ნაჩვენებია *L. georgica*-ს და *L. serriola* -ს მორფომეტრული კვლევის შედეგები, აგრეთვე *L. georgica*-ს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების ახალი წერტილები. დადგინდა, რომ *L. georgica* მორფოლოგიური ნიშნებით კარგად არის გამიჯნული მისი ახლო მონათესავე სახეობების: *L. serriola* და *L. saligna* L.-სგან. *L. georgica* განსხვავდება *L. serriola* და *L. saligna*-სგან არამარტო მორფოლოგიით, ასევე ეკოლოგიითა და გეოგრაფიული გავრცელებით.